ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

გამარტივებული ელექტრონული ტენდერით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობისა და გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის საჭიროებისათვის პრინტერებისა და ასლგადამღები მოწყობილობების კარტრიჯების აღდგენისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №1

12 თებერვალი , 2016 წელი
ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

ედიშერ თოლორაია _ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

სატენდერო კომისიის წევრები

ლაშა გოგია _ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
თენგიზ შანავა _ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.
ნანი მიქენაია _ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.
თენგიზ ქობალია _ ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი.
რუსლან კილასონია _ ეკონომიკური განვითრებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი.
ჯაბა არდია _ მშენებლობის სამსახურის უფროსი.
ლერი დოჩია _ სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი.
მაია ჩიტაია _ კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი

ბესიკ ქარდავა _ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი.
აქსანა გუჩუა _ იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის შემადგენლობის უმრავლესობით _ ცხრა წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობისა და გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის საჭიროებისათვის პრინტერებისა და ასლგადამღები მოწყობილობების კარტრიჯების აღდგენისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვის განხორციელების მიზნით გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცება.

მოისმინეს: სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ე. თოლორაიას მოკლე ინფორმაცია პრინტერებისა და ასლგადამღები მოწყობილობების კარტრიჯების აღდგენისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით და კომისიას განსახილველად წარუდგინა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია.

სხდომის მსვლელობა: სატენდერო კომისიამ განიხილა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები. დაადგინა ტექნიკური დავალების მონაცემები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო წინადადების ფორმები. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 5840 (ხუთი ათას რვაასორმოცი) ლარით.

კომისიამ გადაწყვიტა: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად დამტკიცდეს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობისა და გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის საჭიროებისათვის პრინტერებისა და ასლგადამღები მოწყობილობების კარტრიჯების აღდგენისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე წარმოდგენილი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია (ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია თან ერთვის).

დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს: უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge.).

კომისიის წევრები:

1. ე. თოლორაია (თავმჯდომარე).
2. ლ. გოგია.
3. თ.შანავა.
4. ნ. მიქენაია.
5. თ.ქობალია
6. რ. კილასონია.
7. ჯ. არდია.
8. ლ. დოჩია.
9. მ. ჩიტაია.

კომისიის აპარატის წევრები:

1. ბ. ქარდავა.
2. ა. გუჩუა.